საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

აპრილი-ივლისი 2022

ადვოკატებისთვის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის ელექტრონული დაჯავშნის პორტალი მოქმედებს!



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი და იუსტიციის მინისტრი, რატი ბრეგაძე N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ადვოკატის ვიზიტის ელექტრონული დაჯავშნის პორტალის მუშაობის პროცესს გაეცნენ.

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ადვოკატის ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის ინოვაციური, ელექტრონული პორტალი ადვოკატთა ასოციაციამ იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან თანამშრომლობის შედეგად შექმნა. ელექტრონული დაჯავშნის პორტალი პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ადვოკატის ვიზიტის პროცესის გამარტივებას ისახავს მიზნად.

ელექტრონული პორტალი საპილოტე რეჟიმში პირველ ეტაპზე, მხოლოდ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ბარიერს მიღმა შეხვედრის დაჯავშნის მიზნით ამოქმედდა.

ადვოკატთა ასოციაციამ ელექტრონული ჯავშნის ინოვაციური პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს (INL) ფინანსური მხარდაჭერით შექმნა.

საკანონმდებლო ცვლილებები ადვოკატურის გაძლიერებისთვის

ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებმა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებსა და აპარატის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრის ფორმატში ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებების პაკეტი განიხილეს.

წევრთა ფართო ჩართულობისა და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ადვოკატთა ასოციაციაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა და საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა მუხლობრივად განიხილეს პარლამენტის წევრების მოსაზრებები და პოზიციები საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტთან დაკავშირებით და შეთანხმდნენ, რომ საკანონმდებლო ცვლილებების გადამუშავებული ვერსიის განხილვა საქართველოს პარლამენტში მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყება.

სამუშაო შეხვედრა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ჩატარდა.

საკანონმდებლო ცვლილებები - სამუშაო შეხვედრა პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შეხვედრა გაიმართა, სადაც ისეთ საკითხებზე იმსჯელეს როგორებიცაა: (ა) პატიმრობის კოდექსში შესატანი ცვლილებები.

(ბ) საპროცესო შეთანხმების თაობაზე ბრალდებულთან მოლაპარაკების წარმოების დროს, საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართულობის საკანონმდებლო დარეგულირება.

სამუშაო შეხვედრში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა. შეხვედრას იურიდიული დახმარების სამსახურისა და სხვა შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში ჩამოყალიბდა

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა. სამუშაო ჯგუფი ამ ეტაპზე 10 წევრისგან შედგება. წევრები შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით ღია კონკურსის წესით შეირჩნენ.

საკანონმდებლო ცვლილებები - სამუშაო ჯგუფის შეხვედრა კახეთში

ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა.

ორდღიან განხილვებში ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრები მონაწილეობდნენ.
შეხვედრა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ჩატარდა.

NYSBA-ის საერთაშორისო სექციაში საქართველოს ქვესექცია დაფუძნდა

ნიუ იორკის შტატის ადვოკატთა ასოციაციასა (NYSBA) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, NYSBA-ის საერთაშორისო სექციაში დაფუძნდა საქართველოს ქვესექცია. აღნიშნული საშუალებას მოგცემთ შეუერთდეთ NYSBA-ის საერთაშორისო სექციის აქტივობებს, ჩაერთოთ მათ ღონისძიებებში და ასევე, ისარგებლოთ NYSBA-ის საგანმანათლებლო (მათ შორის, განგრძობითი იურიდიული განათლების) და სხვა იურიდიული რესურსებით.

ვილნიუსში ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის მმართველი საბჭოს სხდომა გაიმართა

18-21 მაისს, ვილნიუსში, საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის (International Bar Association/IBA) მმართველი საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელშიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი და აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი ჭეხანი მონაწილეობდნენ.

მმართველი საბჭოს შეხვედრების პარალელურად, დავით ასათიანმა მონაწილეობა მიიღო IBA-ის პოლიტიკის კომიტეტის სხდომაში, რომლის წევრადაც ის 2021 წლის მარტში აირჩიეს.

IBA ადვოკატების, ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოებების წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა, IBA-ის მიზანია, წვლილი შეიტანოს გლობალური სტაბილურობისა და მშვიდობის დამკვიდრებაში მართლმსაჯულების განხორციელების გზით. IBA აერთიანებს 190-ზე მეტ ადვოკატთა ასოციაციასა და 80 ათასზე მეტ ადვოკატს მსოფლიოს მასშტაბით.

საქართველოსა და რომის ადვოკატთა ასოციაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოსა და რომის ადვოკატთა ასოციაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და რომის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ანტონინო გალეტმა მოაწერეს ხელი. რომის ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრას და მემორანდუმის ხელმოწერის ოფიციალურ ცერემონიას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი ჭეხანი, აღმასრულებელი საბჭოს წევრები - მარიამ კუბლაშვილი და ტარიელ კაკაბაძე, ასევე საქართველოს კონსული იტალიაში, ნატალია კორძაია დაესწრნენ.

მემორანდუმი აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა - ერთობლივი სემინარები და კონფერენციები, ახალგაზრდა ადვოკატების გაცვლითი პროგრამები და იტალიაში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ინტერესების დაცვა.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ევროპის საბჭოს მიწვევით სტრასბურგში სხვადასხვა მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა.

ევროპის ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის (EYBA) გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას, გიორგი ჭეხანმა EYBA-ის ევროპის ახალგაზრდა ადვოკატთა წლიური კონფერენციის საქართველოში ჩატარების შესახებ წინადადება ოფიციალურად წარუდგინა.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე, შეხვედრა გაიმართა სტრასბურგის ადვოკატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტთან ტიფანი კონეინთან, სადაც გადაწყდა, რომ საქართველოსა და სტრასბურგის ადვოკატთა ასოციაციებს შორის გაფორმდება მემორანდუმი და გაძლიერდება თანამშრომლობა ერთობლივი ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიმართულებით,

ვიზიტის ფარგლებში გიორგი ჭეხანმა მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ ევროსაბჭოს პროგრამის (HELP) წლიურ კონფერენციაში და შეხვედრა გაიმართა ევროსაბჭოს თანამშრომლობის პროგრამების სამმართველოს დირექტორთან - ლილია გრეტასდოტირთან.

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

„მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს“ მმართველი კომიტეტის გაფართოებული შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მოსამართლეებმა, ადვოკატებმა და პროკურორებმა „მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს“ საქმიანობისა და აღნიშნული ფორმატის სამომავლო განვითარების გეგმების შესახებ იმსჯელეს.

შეხვედრის ფარგლებში სასამართლო პრაქტიკაში არსებული იმ გამოწვევების ნუსხა განისაზღვრა, რომლის თაობაზეც მომდევნო ერთი წლის განმავლობაში „მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს“ თემატური სექციების (ე.წ. ბენჩ-ბარის) შეხვედრები გაიმართება.

ასევე, მმართველი კომიტეტის შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა „მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს“ საქმიანობაში რეგიონების ჩართულობის გაზრდის გზებიც განიხილეს.

USAID - მა სამართლის უზენაესობის ხუთწლიანი გეგმა წარმოადგინა

შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტმა (EWMI) ახალი, ხუთწლიანი სამართლის უზენაესობის პროგრამა სასამართლოების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, მედიისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებს წარუდგინა. გეგმა 2022-2026 წლებში განსახორციელებელ იმ პროექტებს მოიცავს.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ. დავით ასათიანმა სანდო და ხარისხიანი მართლმსაჯულების ჩამოყალიბების მნიშვნელობასა და ამ პროცესში ადვოკატურის როლზე ისაუბრა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხებზე მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გაიმართა

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხებზე მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench & Bar) ფორმატში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ორდღიან სამუშაო შეხვედრაში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები, საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები, მოსამართლეები, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სახელმწიფო დეპარტამენტის რეზიდენტი მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში ლენა ოუენსი, ჯორჯიის შტატის მოსამართლე ბენ სტადარტი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის დეპარტამენტის პროკურორები და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმის კომიტეტმა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმის კომიტეტმა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა და გაწეული საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა.

სამოქმედო გეგმა ერთი წლის განმავლობაში კომიტეტის მიერ განსახორციელებელ აქტივობებს მოიცავს.

ღონისძიების ფარგლებში „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა“ და „ღია სივრცე კავკასია“-ს შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა, რომელიც ორგანიზაციებს შორის ერთობლივ ღონისძიებებსა და სხვადასხვა აქტივობას ითვალისწინებს.

მესტიაში კონფერენცია ჩატარდა

„ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“ - ამ სახელწოდებით ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ერთობლივი ღონისძიება ჩატარდა სვანეთში, მესტიაში. კონფერენციაში იურიდიული პროფესიის ადგილობრივი და სხვადასხვა რეგიონიდან ჩასული წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა საუკუნოვანი ტრადიციული სვანური სამართლის არსისა და მნიშნელობის შესახებ დეტალები ადგილობრივი უხუცესებისგან პირადად მოისმინეს. ამასთან, კონფერენციის მონაწილეებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად განიხილეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტი, მისი უპირატესობები და შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

შრომის სამართლის კომიტეტის გასვლითი შეხვედრა გაიმართა

შრომის კანონმდებლობა და მისი დანერგვის სამართლებრივი ასპექტები- ამ თემაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსა და შრომის სამართლის კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ.

ორდღიანი განხილვების ფარგლებში შრომის კომიტეტმა სამოქმედო გეგმა წარმოადგინა.
შეხვედრა სოლიდარობის ცენტრის პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა.

შეხვედრაზე ადვოკატთა ასოციაციასა და სოლიდარობის ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც სხვადასხვა სახის ერთობლივ ღონძიებებს ითვალისწინებს.

გასვლითი შეხვედრა შრომის საკითხებზე

ციფრული ეკონომიკის სფეროში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებები განიხილეს კონფერენციაზე ბათუმში. ორდღიანი ღონისძიება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტისა და ამერიკის სოლიდარობის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

კონფერენციაში ადვოკატთა ასოციაციის შრომის კომიტეტის წევრები, უზენაესი სასამართლოსა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები, სახალხო დამცველისა და შრომის ინსპექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

კონფერენციის ფარგლებში მონაწილეებმა ციფრულ ეკონომიკაში დასაქმებულ პირთა უფლებების დაცვის მიზნით ადვოკატირების გეგმაზე იმსჯელეს, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებს, კოლექტიურ მოლაპარაკებებსა და აღსრულების მექანიზმებს მოიცავს.

ტრენინგი ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ლექტორებისთვის

ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ლექტორებისთვის ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიასა და სტანდარტიზირებული სილაბუსების შემუშავების საკითხებზე სიღრმისეული ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგში ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ლექტორების განახლებული შემადგენლობა მონაწილეობდა, რომელიც ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ გამოცხადებული საჯარო კონკურსის საფუძველზე შეირჩა.

მენტორი ადვოკატების ტრენინგი

ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი (მენტორი) ადვოკატებისთვის სიღრმისეული ტრენინგი ჩატარდა თემაზე - შედეგზე ორიენტირებული მენტორობის უნარ-ჩვევები. მენტორობის როლი და მნიშვნელობა, მენტორული უნარები და სწავლების თავისებურებები, ეთიკა, გამოცდილების გაზიარება - სესიები თეორიულ ნაწილთან ერთად პრაქტიკულ სამუშაოებსაც მოიცავდა. ტრენინგი ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა და მასში 30-მდე მენტორი მონაწილეობდა.

ვებინარები საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ონლაინ დისკუსიების სერიის ფარგლებში ვებინარები ჩაატარა თემებზე:

- ადვოკასაიმიგრაციო სამართალი-აქტუალური საკითხები.
- დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში.
- ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულზე მართლმსაჯულების გამოწვევები საქართველოში.



- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) განჩინებები ბავშვთა უფლებებების თემაზე.
- ფემიციდის საქმეებზე მართლმსაჯულების გამოწვევები საქართველოში.
- მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" კანონის ძირითადი პრინციპები





ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე სემინარი ჩატარდა

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და თემატური კომიტეტების წარმომადგენლებისთვის სემინარი ჩატარდა.

შეხვედრაზე საერთაშორისო ექსპერტმა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებზე ისაუბრა და ადვოკატებს საეჭვო ტრანზაქციების გამოვლენის ინდიკატორებზე ევროკავშრის ქვეყნების პრაქტიკა გააცნო.

მემორანდუმი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა.

დოკუმენტი იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის ბაზაზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკის დაფუძნებას ითვალისწინებს, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს აქტიურად ჩაერთონ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტებისა და დისციპლინური წარმოების შესწავლის პროცესში.

ადვოკატთა ასოციაციასა და „მართლმსაჯულების სახლს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და სამართლის მულტიფუნქციური განათლებისა და ექსპერტიზის ცენტრ ,,მართლმსაჯულების სახლს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და „მართლმსაჯულების სახლის“ დამფუძნებელმა, ეკა ბესელიამ მოაწერეს ხელი.

თანამშრომლობის ფარგლებში ასოციაციისა და „მართლმსაჯულების სახლის“ ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიებები, სამუშაო შეხვედრები, სემინარები და კონფერენციები ჩატარდება. ასევე, მემორანდუმის ფარგლებში გამოიცემა ერთობლივი სასწავლო სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ადვოკატებთან სამუშაო შეხვედრები გამართა

რეგიონული შეხვედრების ფარგლებში ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, კახეთში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში სამუშაო შეხვედრა გამართა. კონსტანტინე გელაშვილი ასევე, ადვოკატებს თბილისისა და რუსთავში შეხვდა .

ადვოკატებთან შეხვედრისას ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ კომისიის პრაქტიკისა და რეკომენდაციების შესახებ ისაუბრა.
შეხვედრის მონაწილეებს პროფესიული ეთიკის შესახებ კომისიის მიერ გამოცემული პროფესიული ლიტერატურა გადაეცათ.



ადვოკატთა ასოციაციის მე-10000 წევრი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა ასოციაციაში გაწევრიანებულ რიგით მეათიათასე წევრს ადვოკატის მოწმობა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.
ასოციაციის მე-10000 წევრი ადვოკატი, მაია ახვლედიანია, რომელიც ადვოკატურას სისხლის სამართლის მიმართულებით შემოუერთდა.

მაია ახვლედიანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული და დოქტორანტურის სტუდენტია.

საკვალიფიკაციო გამოცდები

ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების მორიგი სესია ჩაატარა. საგამოცდო სესიები 23-28 ივნისს მიმდინარეობდა. გამოცდებში 700-მდე პირი მონაწილეობდა და მათ შორის გამოცდა წარმატებით 203-მა მონაწილემ ჩააბარა.

საგანმანათლებლო აქტივობები

ბავშვთა უფლებებში სპეციალიზებულის სტატუსი დამატებით 80 ადვოკატს მიენიჭა, ხოლო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულის სტატუსი დამატებით 43 - მა ადვოკატმა მიიღო.

საგანმანათლებლო აქტივობები

ადვოკატებისთვის ტრენინგების ხელმისაწვდომობის მიზნით ადვოკატის პორტალს ონლაინ მოდულები ფუნქცია დაემატა. ამ დროისთვის ასოციაციის წევრებისთვის ათი ონლაინ მოდულია ხელმისაწვდომი. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ონლაინ ტრენინგების სტრუქტურა ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შედგება, ინტერაქტიული მეთოდით არის გადმოცემული და მოიცავს როგორც ვიდეო, ასევე საკითხავ და ტესტურ კომპონენტებს.

პორტალზე ამჟამად განთავსებულ ტრენინგების ჩამონათვალს, წლის განმავლობაში პერიოდულად დაემატება არაერთი მოდული სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, ასევე სხვა სფეროებში.



ექსკლუზიურად ადვოკატებისთვის

ადვოკატთა ასოციაციის წევრებს Fitpass - ით სარგებლობა შეუძლიათ!
ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატებისთვის კორპორაციული შეთავაზებების ნაწილში კომპანია Fitpass-თან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატებისათვის კორპორაციული ჯანმრთელობის დაზღვევის შეთავაზების მიზნით სადაზღვევო კომპანია „არდი“-სთან თანამშრომლობას აგრძელებს.
ახალი სადაზღვევო პერიოდი მიმდინარე წლის 7 ივლისს დაიწყება და 1 წლის განმავლობაში გაგრძელდება.

სპორტული აქტივობები

ადვოკატთა ასოციაციის საჭადრაკო ნაკრებმა აზერბაიჯანის ადვოკატთა ასოციაციის ნაკრები ანგარიშით 8:4 დაამარცხა და უკვე მეორედ გახდა ტურნირის გამარჯვებული.
ჩემპიონატში მონაწილე ადვოკატებს სერთიფიკატები გადაეცათ. გარდამავალი თასი კი კვლავ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში რჩება.
ორ ქვეყანას შორის გამართულ ტურნირში საერთო ჯამში 12 მოჭადრაკე ადვოკატი მონაწილეობდა.

ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდი კი თბილისის მასტერ ლიგის მეორე ლიგაში აგრძელებს თამაშს და ამ დროისთვის მოწინავე გუნდების ათეულშია,